დამტკიცებულია
შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“
დირექტორის ბრძანებით

შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის=“ (შემდგომში „სკოლის“) მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და მისი უფლებამოსილება გრძელდება მომდევნო სასწავლო წელს ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

1.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ.

1.3. მოსწავლეთა თვითმმართველობა ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად, წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა განვითარებაში.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

2.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას.

2.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო, სასწავლო და სპორტულ/კულტურულ დაწესებულებებთან;

გ) მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის დებულებით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლეთა პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა და აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის მმართველობითი ორგანოების ინფორმირება;

ბ) სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება;

გ) მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

დ) კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა; მოსწავლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა;

ე) მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში და ა.შ.

მუხლი 3. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროები:

მოსწავლეთა თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) სკოლის ბიუჯეტი;

ბ) მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტები, შემოწირულობები;

გ) კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 4. არჩევნების ჩატარების დრო

1. მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობას თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით;

2. თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში და თვითმმართველობის არჩეული შემადგენლობის უფლებამოსილება განისაზღვრება მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

მუხლი 5. საარჩევნო სიები და კანდიდატთა რეგისტრაცია

5.1. მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს.
5.2. ამომრჩეველთა სიას ადგენს კლასის ტუტორი, რომელსაც აკონტროლებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
5.3. მოსწავლეები, რომელთაც სურთ არჩეულნი იყვნენ თვითმმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის ტუტორებთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე, ტუტორის არარსებობის შემთხვევაში კი - სკოლის დირექტორთან.
5.4. არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის მსურველები მიმართავენ შესაბამისი კლასების მიხედვით ტუტორებს, ავსებენ სარეგისტრაციო განაცხადს და ენიჭებათ შესაბამისი საარჩევნო ნომერი (იხ. დანართი N1.1).

მუხლი 6. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია

6.1 საარჩევნო კომისია ვალდებულია კანდიდატის რეგისტრაციის დასრულებისთანავე სკოლის დირექციის დახმარებით უზრუნველყოს კანდიდატის ავტობიოგრაფიისა და საარჩევნო პროგრამის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯაროობა სკოლის საჯარო სტენდზე გაკვრით, აგრეთვე სკოლის ხელთ არსებული სხვა საშუალებებით (სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება და სხვ.).
6.2 კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც იწყება კანდიდატის ტუტორის მიერ რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
6.3 ასარჩევ კანდიდატებს, ასევე მათ მხარდამჭერ პირებს უფლება აქვთ აწარმოონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.
6.4 არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
6.5 წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) სკოლის დირექციას;
გ) დამკვირვებლებს.
6.6 წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა.

6.7 წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს. იკრძალება გაკვეთილებზე საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ხელყოფს წესრიგს სკოლაში ან ზიანს აყენებს მის ქონებას.
6.8 სკოლის დირექტორს უფლება არა აქვს უარი უთხრას კანდიდატებს ან მათ მხარდამჭერებს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის საკლასო ოთახით, დარბაზებით და/ან სკოლის სხვა ქონებით სარგებლობაზე. ყველა კანდიდატისათვის სკოლის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.
6.9 სკოლის დირექციას ეკრძალება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების პროცესში ჩარევა ან/და ხელის შეშლა.

მუხლი 7. საარჩევნო პროცედურები, არჩევნების ჩატარების წესი და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრა

7.1 არჩევნების მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფა და საკლასო ოთახებში არჩევნებისათვის საჭირო გარემოს მოწყობა ევალება საარჩევნო კომისიას.
7.2 შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:
- არჩევნების ჩატარების თარიღი და დრო;
- ინფორმაცია საარჩევნო კანდიდატთა შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია);
- ხმის მიცემის ინსტრუქცია;
- საარჩევნო ბიულეტინის შევსების წესი.

7.3 საბაზო და საშუალო საფეხურის კლასების საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას განთავსდება საარჩევნო ყუთი.
7.4 ამომრჩევლები სასურველი კანდიდატისათვის ხმის მისაცემად ავსებენ საარჩევნო ბიულეტინს (იხ. დანართი N1.2).
7.5 საბაზო/საშუალო საფეხურის თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ერთ კანდიდატს მოსწავლეთა თვითმმართველობაში ასარჩევად.
7.6 გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელიც შესაბამის კლასში მეტ ხმას მოიპოვებს.
7.7 მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დასრულების შემდეგ, საარჩევნო კომისია ადგენს შემაჯამებელი ოქმს (იხ. დანართი N1.3).
7.8 თვითმმართველობის წევრები, არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში, საკუთარი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის ლიდერს.

მუხლი 8. მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერის არჩევის წესი

8.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერი არის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომელიც ლიდერობს თვითმმართველობას;
8.2 თვითმმართველობის წევრები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში საკუთარი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ თვითმმართველობის ლიდერს, რომელიც ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას.
8.3 მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერი აირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

მუხლი 9. მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერის ფუნქციები

მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერი:
ა) ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას;
ბ) წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლის დირექციასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
გ) კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბების საქმიანობას;
დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისა და ლიდერისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

10.1 მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერისათვის/წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ სკოლიდან ამორიცხვა/ სწავლის დასრულება;
გ) სკოლის შინაგანაწესის ან წინამდებარე დებულების წესების უხეში დარღვევა;
დ) არასაპატიო მიზეზით თვითმმართველობის სხდომებზე ზედიზედ 2-ჯერ დაუსწრებლობა;
ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;
ვ) სხვა ობიექტური გარემოება.
10.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობა დარჩენილი წევრებიდან ირჩევს ლიდერს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 11. თვითმმართველობის მუშაობის წესი

11.1 მოსწავლეთა თვითმართველობას ხელმძღვანელობს თვითმართველობის მიერ არჩეული ლიდერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი.
11.2 თვითმართველობის პირველი სხდომა იმართება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევიდან 7 დღის ვადაში, ხოლო შემდგომ - მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერის მოწვევით საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 12. თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები

თვითმმართველობა დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშრებით;
- თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ათანხმებს მასთან;

- იცვას მოსწავლეთა ინტერესებს და მათი უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან;
- ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას;
- მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- შუამდგომლობას აყენებს სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით;
- გეგმავს გამოფენებს, ღონისძიებებს და სხვადასხვა აქტივობებს სკოლის ტერიტორიაზე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
- წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს და ირჩევს მათ ხელმძღვანელებს;

მუხლი 13. დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

1. მოსწავლეთა თვითმმართელობის დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დანართი N1.1

შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“
----- კლასის ტუტორს
---------- ------ ----------
ამავე კლასის მოსწავლის
---------- ----------
მცხოვრები ---------- ----------

ტელ: ----------

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

გაცნობებთ, რომ მსურს მონაწილეობა მივიღო, შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“ თვითმმართველობის არჩევნებში, ---------- საფეხურის თვითმმართველობის წევრად.

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ აღნიშნულ არჩევნებზე და მომანიჭოთ შესაბამისი საარჩევნო ნომერი.

ხელმოწერა: /----------/

თარიღი: ----------

დანართი N1.2

შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“
თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლის ბიულეტინი

რეგისტრაციის (საარჩევნო) ნომერი	კანდიდატის სახელი, გვარი	კლასი	საფეხური

დანართი N1.3

შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღმის“
თვითმმართველობის შემაჯამებელი ოქმი

ქ. -------- ---- ------202- წ

საფეხური: _____

კლასი: _____

1	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	
2	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	
საბოლოო შედეგები		
N	არჩევნებში მონაწილე კანდიდატი (სახელი გვარი)	ხმა

კლასის ტუტორი _____